

ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School-ის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგ ეკატერინე მაჭარაშვილის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის ანგარიში თემაზე:

„განმავითარებელი შეფასება-მნიშვნელოვანი სტრატეგია საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების საკითხში”

სარჩევი

შესავალი	3
I თავი საკვლევი საკითხის მიმოხილვა.....	6
გამოკვეთილი პრობლემები	7
პრობლემის გამომწვევი მიზეზები	7
კვლევის მიზანი	7
საკვლევი კითხვები	8
სამიზნე ჯგუფი	8
ჰიპოთეზა	9
II თავი: პრაქტიკის კვლევის არსი	10
III თავი: ლიტერატურის მიმოხილვა	10
IV თავი: მეთოდოლოგია.....	14
4.1 პრობლემის აქტუალობა	14
4.2 კვლევის დიზაინი.....	16
4.3 კვლევის შეზღუდვები	19
V თავი: დიაგნოსტიკის შედეგები და ანალიზი	19
დამრიგებლის დაკვირვების შედეგი	31
VI თავი: ინტერვენციის ეტაპის დაგეგმვა, ინტერვენციების განხორციელება და შედეგების შეფასება.....	32
VII თავი: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები.....	37

დასკვნა.....	42
გამოყენებული ლიტერატურა.....	43
VIII თავი: დანართები.....	44
VIIIთავი: კვლევის ვადები.....	57
IXთავი: კვლევის გაზიარების რეფლექსია	59

შესავალი

დღემდე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარეობდა და კვლავ გრძელდება განათლების სისტემის რეფორმირება და განვითარება, რასაც ახლავს სხვადასხვა ტიპის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრასა და შესწორებაზე სხვადასხვა ქვეყანა სხვადასხვაგვარი სტრატეგიით მუშაობს. საგულისხმოა, რომ პედაგოგების მიერ გამოყენებული რიგი სტრატეგიები დიდ როლს თამაშობს მოსწავლეების სასწავლო პროცესში ჩართულობასა და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საქმეში. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული წარმატებული სტრატეგია სხვადასხვა საკლასო ჯგუფში ინდივიდუალური მიდგომით ხორციელდება.

საქართველოს განათლების სისტემაში, ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მრავალი რეფორმა გატარდა და ცვლილება განხორციელდა. საგულისხმოა, ყველას გვახსოვდეს, რომ განათლების სისტემაში არსებული პრობლემები განაპირობებს იმ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს, რაც ქვეყნის განვითარებისა და წინსვლის მთავარი ინდიკატორია, სწორედ ამიტომ კარგი განათლების სისტემა, პედაგოგიური პრაქტიკა და მოსწავლეების მაქსიმალური მოტივირება არის ქვეყნის განვითარების

საწინდარი. ამ სფეროს განვითარება მნიშვნელოვანწილად პრიორიტეტულია ქვეყნის კეთილდღეობისთვის.

სწავლების შედეგებს გარკვეულწილად განსაზღვრავს მასწავლებლების მიერ ჩატარებული პედაგოგიური პრაქტიკა, რომელიც პირდაპირ აისახება მოსწავლეებზე. მრავალი მკვლევარი საუბრობს იმაზე, რომ მასწავლებელმა უნდა მოახერხოს ისეთი სასწავლო მასალისა და აქტივობების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას სწავლის მიმართ და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

მოსწავლეთა შეფასების საკითხი მას შემდეგ აქტუალურია, რაც, ზოგადად, სკოლებში სწავლის დონის განსხვავებების თვალსაჩინოება გახდა საჭირო. ახლა კი, 21-ე საუკუნეში, ჩვენს ტექნოლოგიურ სამყაროში, უფრო და უფრო აქტუალურია შეფასების კრიტერიუმების კლასიფიცირება, სწორი განსაზღვრება და ობიექტურობა. შეფასება უფრო რთული საკითხი იმიტომ გახდა, რომ მასწავლებელი აფასებს არა მარტო, მოსწავლის ფაქტობრივ ცოდნას, თუ რაოდენ კარგად იცის კონკრეტული მოთხრობა, ლექსი, არამედ მისი გააზრება, გათავისება და ანალიზი უნდა შეეძლოს. მოსწავლეებში გააზრებისა და ანალიზის უნარების განვითარებას ხელს უწყობს განმავითარებელი შეფასებები, რომელთა მიზანია მასწავლებლის დამოკიდებულების განსაზღვრა კონკრეტული მოსწავლის ცოდნისადმი და ამ ცოდნის ხარვეზების გამოვლენა, ხარვეზთა მიზეზების განსაზღვრა და აღმოფხვრის გზების დასახვა.

„თუკი თითოეული მოსწავლისთვის სასწავლო პროცესს მოგზაურობად აღვიქვამთ, მაშინ განმავითარებელი შეფასება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მოგზაურობის პროცესში მოსწავლეებისთვის გზის ჩვენება“¹ . ზოგადად, განმავითარებელი შეფასება არის პროცესი, რომელიც განსხვავებული სტრატეგიებით, სხვადასხვა აქტივობებით, განსხვავებული საშუალებებით ინფორმაციის მოპოვებასა თუ გააზრებას ნიშნავს. ის უფრო მეტად უწყობს ხელს მოსწავლეების პროგრესულ განვითარებას და ცოდნის გაღრმავებას.

ცოდნის დახვეწის საშუალებად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი გზა, რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს მათთვის გაურკვეველი ინფორმაცია გახდეს

უფრო ნათელი. ეს ფაქტობრივად, არის ინტერვენცია საგაკვეთილო პროცესში მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. ადგილზე ხდება მათ შორის ინდივიდუალური გეგმის დასახვა ბავშვის როგორც პიროვნული, ისე ემოციური და გონებრივი განვითარებისთვის. ამ მიმართულებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გზად სწორედ განმავითარებელი შეფასება გვესახება. განმავითარებელი შეფასების საჭიროებაზე ექსპერტები მსჯელობენ და ცდილობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად დაინერგოს თანამედროვე სკოლებში განმავითარებელი შეფასების პრაქტიკა და ამისთვის მასწავლებლების ინტენსიური გადამზადება მიმდინარეობს.

ამ მიმართულებით არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვადასხვა აკადემიური დონის ქონე სამიზნე ჯგუფებში კონკრეტული პედაგოგების მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც ადგენს საჭიროებებს, რომელთა საფუძველზეც პედაგოგები პრობლემათა აღმოფხვრის კონკრეტულ გზებს სახავენ და ახორციელებენ აქტივობებს. ეს აქტივობები კი, თავის მხრივ, ხელს უწყობს სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას.

განმავითარებელი შეფასებების აუცილებლობას მრავალი კვლევა ეძღვნება, მაგრამ ვფიქრობ, კონკრეტულ კლასში ამგვარ შეფასებას სხვადასხვა საჭიროება განსაზღვრავს და შესაბამისად კვების შინაარსიც სამიზნე ჯგუფის შემთხვევაში განსხვავებულია.

¹გორგოძე, სოფო.2016.ეფექტური განმავითარებელი შეფასება.
http://mastsavlebeli.ge/?p=11953&fbclid=IwAR2wH5pFbjoJogeZzc5A_n1WxlKSldtbgYk_owjHiPhCYNgdZ7HS_gPfez7M (14.03.2019)

I თავი

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

სწავლება ეს არის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობების განმსაზღვრელი და დამაკავშირებელი ჯაჭვი. სწავლების პროცესში მასწავლებელი სვამს შეკითხვებს, განმარტავს, დემონსტრირებას უკეთებს სხვადასხვა საკითხს, იძლევა ინსტრუქციებს, საჭიროებისა და სურვილის შემთხვევაში უწევს მოსწავლეს საკონსულტაციო საქმიანობას. სწავლების პროცესი ეს თავად ერთი აქტივობაა, რომელიც მოიცავს უამრავ განსხვავებულ სტრატეგიასა და აქტივობას, რომელიც უშუალოდ სწავლებას უკავშირდება. მიუხედავად ამ კომპლექსური ურთიერთკავშირისა, სწავლების პროცესი საბოლოო ჯამში, ფოკუსირებულია იმაზე, ნათლად იქნას გაგებული კონკრეტული საკითხები და მაქსიმალურად აღმოიფხვრას გაურკვეველი საკითხების არსებობა, რაც იძლევა ეფექტურ შედეგს სხვადასხვა მექანიზმების გამოყენების მეშვეობით.

ეფექტიანი სწავლების შედეგები, როგორც აღწერილია მკვლევრებისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ, განისაზღვრება გრძელვადიან პერსპექტივაში გამოყენებადი, მოქნილი, ფუნქციური, შინაარსიანი, საქმეში გამოყენებადი ინდიკატორებით. უფრო მეტიც, სწავლების პროცესში ეფექტურობა უზრუნველყოფს დამოუკიდებელად სწავლის, აზროვნების, თანამშრომლობისა და მოქმედების უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ზემოაღნიშნული

შედეგების მისაღწევად, საჭიროა სწავლების პროცესები იყოს აქტიური, კონსტრუქციული, მიზანმიმართული, დიაგნოსტიკური, ამრეკლი, აღმოჩენაზე ორიენტირებული, შინაარსობრივი, პრობლემაზე ორიენტირებული, საქმის საფუძველზე დამყარებული და ა.შ.

იმისათვის რომ აღნიშნულ შედეგებს მივაღწიოთ, საჭიროა, სწავლების პროცესში რიგი პედაგოგიური ხერხების გამოყენება, როგორიცაა: აქტიური, კონსტრუქციული, მიზანმიმართული, პრობლემაზე ორიენტირებული,

დიაგნოსტიკური, რეფლექციური, აღმოჩენებზე ორიენტირებული, კონტექსტუალური, კონკრეტულ ქეისებზე დაფუძნებული სასწავლო ხერხების გამოყენება. ამგვარი პრაქტიკების გამოყენება დიდ ძალისხმევასთან არის დაკავშირებული, მაგრამ შედეგების თვალსაზრისით ის მეტად ეფექტურია.

მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:

- ✓ მოსწავლეების შეფასება მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების საფუძველზე იწვევს მათი ჩართულობის შემცირებას.
- ✓ შესწავლილი მასალის ნათლად აღქმისა და გააზრების პრობლემა
- ✓ მოსწავლეების მხრიდან თავიანთი უნარების სწორად შეფასება და გაუმჯობესება

პრობლემის გამომწვევი მიზეზები:

დაკვირვების შემდეგ გამოიკვეთა სავარაუდო პრობლემები

- ✓ მოსწავლეები დამოკიდებულები არიან მხოლოდ საგაკვეთილო პროცესში მიღებულ შეფასებაზე.
- ✓ მოსწავლეები სრულიად არ არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში და ვერ ხვდებიან განმავითარებელი შეფასების როლს.
- ✓ მხოლოდ განმსაზღვრელი შეფასების გამოყენება ხელს უშლის მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებას
- ✓ მშობლები ნაკლებად არიან ჩართული შვილის აქტიურობის საკითხში საგაკვეთილო პროცესსა და შეფასების პრობლემის აღმოფხვრაში.

კვლევის მიზანი:

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აკადემიური მოსწრების შესწავლა მე-11 კლასის მოსწავლეებში. რამდენად ჩართულები იყვნენ ისინი განმავითარებელი შეფასების აქტიურ გამოყენებამდე საგაკვეთილო პროცესში და როგორ შეიცვალა ვითარება, გაუმჯობესდა თუ იგივე დარჩა განმავითარებელი შეფასების ინტენსიური, მიზანმიმართული გამოყენების შემდეგ. ასევე რა

გავლენა იქონია შეფასების ამ სტრუქტურის გამოყენებამ მათზე და როგორ შეიცვალა მოსწავლეების მოტივაცია ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლის კუთხით.

საკვლევი კითხვები:

კვლევამ პასუხი უნდა გაეცა შემდეგ კითხვებისათვის:

- რამდენად უწყობს ხელს განმავითარებელი შეფასების გამოყენება მოსწავლეების თვითდაჯერებულობის განმტკიცებას?
- განმავითარებელი შეფასების ეფექტურობა მოსწავლეების სწავლის გაუმჯობესების ხარისხთან მიმართებით.
- რა პრობლემებს იწვევს განმავითარებელი შეფასების გამოყენებლობა საგაკვეთილო პროცესში?
- რამდენად კარგად ერკვევიან მშობლები შვილების შეფასების სისტემაში?

სამიზნე ჯგუფი:

- ქართულ-ამერიკული სკოლის მე - 11 კლასის 16 მოსწავლე

- ქართულ-ამერიკული სკოლის მე - 11 კლასის მოსწავლეების მშობლები

ჰიპოთეზა:

როგორც ცნობილია, კვლევათა უმეტესობა ჰიპოთეზის წამოყენებით იწყება. კერლინგერის მიხედვით, კარგი ჰიპოთეზის მთავარი კრიტერიუმია მასში გამოთქმული ვარაუდის შემოწმებისა და მიმართებების დადგენის გზების დასახვა.

ჰიპოთეზა შესწავლის, გააზრებისა და დაკვირვების შედეგია; ამიტომ, ამ დებულებაზე დაყრდნობით, გამოვთქვამ ვარაუდს, რომ სასწავლო პროცესში მოსწავლეების მაქსიმალური ინტეგრირება და სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვა დადებითად აისახება მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაზე. კონკრეტულად, ამ ვარაუდის საფუძველია, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად განმავითარებელი შეფასების გამოყენება აუმჯობესებს აღქმა-გააზრებისა და ცოდნის ტრანსფერის უნარებს. განსაკუთრებით მე-11 კლასში, როცა მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაციის დონე იკლებს, რადგან ისინი ორიენტირებულები არიან ერთიანი ეროვნული გამოცდების სასურველი შედეგით დასრულებაზე და თითქოს სასწავლო პროცესი მონოტონური ხდება.

ჰიპოთეზის (და არა მარტო) დონეზე შეიძლება ითქვას, რომ:

- განმავითარებელი შეფასების გამოყენება ეხმარება მოსწავლეებს შეიძინოს განსხვავებული უნარ - ჩვევები და უკეთ ჩაერთოს საგაკვეთილო პროცესში.
- განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემდეგ მოსწავლეები უფრო მოტივირებულები არიან სწავლის კუთხით და მეტად ცდილობენ საკუთარი ცოდნის გაღრმავებას.

II თავი: პრაქტიკის კვლევის არსი

„პრაქტიკის კვლევა მძლავრი იარაღია ადგილობრივ დონეზე ცვლილებებისა და გაუმჯობესებისთვის“². ზოგადად მისი განხორციელება შეუძლია როგორც ერთ კონკრეტულ პიროვნებას, ამ შემთხვევაში მასწავლებელს, ისე რამდენიმეს ერთად-ჯგუფურად. მისი განსაზღვრა საკმაოდ რთულია და წარმოადგენს კომბინირებულ კვლევა-ძიებით აქტივობას, რომელიც უშუალოდ კონკრეტული საკვლევო საკითხის აღმოჩენა, გაუმჯობესება და გადაჭრას გულისხმობს.

მასწავლებლების მრავალწლიანი გამოცდილება საშუალებას იძლევა, თითოეული მოსწავლის მაგალითზე იპოვოს ძალიან ბევრი პრობლემა და მათ გამოსწორებაზე იმუშაოს. მუშაობის პროცესში ეცნობა სხვადასხვა ლიტერატურას, განიხილავს უპირატესობებსა და ნაკლოვანებებს კონკრეტული მიდგომის და კვლევის საფუძველზე მის გამოსწორებაზე მუშაობს სხვადასხვა მეთოდით.

ამ კონკრეტულ კვლევაში მონაწილეობენ ქართულ-ამერიკული სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები, რათა მათზე დაკვირვებამ, ახალმა მეთოდების გამოყენებამ გააუმჯობესოს მათი აკადემიური მოსწრება, ჩართულობა და მოტივაციის დონე ქართული ენისა და ლიტერატურის შესწავლისას. საინტერესოა, რომ შეფასება მოსწავლის მოტივაციის პირდაპირ ან უკუპროპორციურია და კვლევის მიზანი იყო, როგორი შედეგი ექნება მათს ჩართულობასა და მოტივაციას განმავითარებელი შეფასების აქტიური გამოყენების შემდეგ.

III თავი: ლიტერატურის მიმოხილვა

პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულები სასწავლო პროცესებში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების პოვნასა და რიგი სტრატეგიების შემუშავებაში. განათლების პროცესის ძირითადი ნაწილი მოსწავლეა, რომელიც ირიბად კარნახობს მასწავლებელს, თუ როგორ წარმართოს სწავლების პროცესი. ის არის ადამიანი,

რომელიც იღებს მასწავლებლის ინსტრუქციებს, რათა განავითაროს საკუთარი თავი. სწორედ ამგვარი უკუკავშირის პრონციპიდან გამომდინარეობს, რომ სწავლების პროცესში მიზანშეწონილია სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ კარგი სწავლება შეუძლებელია განისაზღვროს ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში, განხორციელდეს ყველა გარემოში და აჩვენოს ერთნაირი შედეგი, მკვლევართა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ სწავლების მეთოდების გარკვეული თვისებები თანმიმდევრულად მაინც უკავშირდება ერთმანეთს და მათი ზოგადი ჩარჩოს გამოყენება სასარგებლოა. საგულისხმოა ისიც, რომ წარმატებული სწავლების დადგენის ინდიკატორად მაინც მოსწავლის მიერ მიღწეული შედეგები გვევლინება, რაც მკვლევრებს უადვილებს დაკვირვების პროცესის წარმართვას.

ყოველი ადამიანი განსხვავებულია და განსხვავებული მოპყრობა სჭირდება. განსაკუთრებით ეს საკითხი სკოლებსა და სხვადასხვა საგანმანათლებლო სტრუქტურებში უნდა იყოს გათვალისწინებული. განმავითარებელი შეფასების მიზანი სწორედ ესაა: ყოველი მოსწავლე ინდივიდუალური პრობლემების წინაშე დგას და ცალ-ცალკე უნდა მოხდეს მათი აღმოფხვრა მასწავლებლის მხრიდან.

მიმოვიხილოთ ზოგადად როგორი სახის შეფასების სტრუქტურა არსებობს და რა განსხვავებაა მათ შორის, რადგან შემდეგ უფრო მარტივად დავინახოთ კვლევის საჭიროება და მიზანი. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. ეს საკითხი ამომწურავადაა განხილული სოფიკო ლობჯანიძის წერილში „*სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები*“³. განმსაზღვრელი შეფასება ადგენს მოსწავლის დონეს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შედეგებთან მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასება კონცენტრირებულია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკაზე და აქცენტს აკეთებს მოსწავლის განვითარების პირობებზე. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე შეფასების სისტემა სწორი ან არასწორია, უბრალოდ ორივეს განსხვავებული მიდგომა და პრიორიტეტები აქვს. განსხვავება მათ შორის საკმაოდ დიდია, ვინაიდან განმავითარებელი შეფასება უფრო ფართო სპექტრისაა. იგი ორიენტირებულია სამომავლო განვითარებაზე, მოსწავლის დონის გაუმჯობესებაზე და უფრო გრძელვადიანია ვიდრე განსაზღვრელი შეფასება. იგი უკვე არსებულ დონეს აფასებს, თუ როგორ მიჰყვება მოსწავლე სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ პროგრამას და რამდენად სწორად აითვისა ის. განმავითარებელი შეფასება მოსწვლეს აძლევს შესაძლებლობას თვითონ შეაფასოს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები და ცოდნის ფუნქციურად გამოყენების უნარს უვითარებს. მასწავლებელი ზეპირსიტყვიერად ცდილობს მოსწავლის შეფასებას უკუკავშირის გამოყენებით, მაშინ როცა, განმსაზღვრელი შეფასების შემთხვევაში ათ ბალიანი ქულებით ხდება შეფასება მოსწავლის.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომად, რომელშიც იგივე საკითხია განხილული, მიგვაჩნია ნაშრომი, რომელიც ეკუთვის სოფო გორგოძეს . სტატიის ავტორი მიზანმიმართულად უხსნის მკითხველს, თუ რამდენად მრავალმხრივია და რამდენ განსხვავებულ პროცესს მოიცავს განმავითარებელი შეფასება. რა თქმა უნდა, საჭიროა მისი სწორად და ადეკვატურად გამოყენება. ნაშრომში მოყვანილია მაგალითები იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ეგონოს გაუანალიზებლად ადამიანს განმავითარებელი შეფასება და რა არის ის სინამდვილეში. მაგალითად, თუ ვინმე ფიქრობს, რომ „განმავითარებელი შეფასება არის შექება“, ეს ასე არაა, ვინაიდან „თუკი მოსწავლეს ვეტყვით: „ყოჩად“, „კარგი გოგო/ბიჭი ხარ“ და ზუსტად არ განვუმარტავთ, რა გააკეთა კარგად, მაშინ შექება ვერ იქნება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტი. (გორგოძე, 2016). აქედან გამომდინარე, ეს ინსტრუმენტი მორგებულია ზოგადი სასწავლო საკითხების ინდივიუალურ დონეზე.

ლობჯანიძე, სოფიკო.2018–2019.*სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები*.თბილისი.<https://drive.google.com/file/d/1N0pBcCxAN9EkcA6I5504jCtVsnOteNj4/view> (16.03.2019)

გორგოძე, სოფო.2016.ეფექტური განმავითარებელი შეფასება. http://mastsavlebeli.ge/?p=11953&fbclid=IwAR2wH5pFbjoJogeZzc5A_n1WxlKSldtbgYkowitzHiPhCYNgdZ7HS_gPfez7M (14.03.2019)

ზოგადად, საკუთარი კვლევის ჩასატარებლად ერთ–ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია სხვა კვლევების ანალიზის გაცნობა, ვინაიდან უფრო მეტად ხვდები, რომელი საკითხის გაუმჯობესება ან უკეთ გაგება გასურს.

მხოლოდ იმის ცოდნა, თუ რა არის და რას წარმოადგენს განმავითარებელი შეფასება არც თუ ისე ობიექტურ შემფასებლად გვაქცევს. ასევე უნდა ვიცოდეთ, როგორ გამოვიყენოთ აღნიშნული შეფასება სამართლიანად, სწორად, მიზანმიმართულად. ამის გამო მინდა განვიხილო მათა ყალიჩავას კვლევა „როგორ დავგეგმოთ და გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასება“. აქ მოსწავლეების გამოკითხვის შედეგებზეა ყურადღება გამახვილებული, რომლის მიხედვითაც, მოსწავლეების უმრავლესობას წარმოადგენს არ ჰქონდა, რამდენად აუცილებელი იყო განმავითარებელი შეფასება საგაკვეთილო პროცესში. საჭირო გახდა მოსწავლეებისთვის ჯერ პრეზენტაციის ჩატარება, რას წარმოადგენს ეს ინსტრუმენტი და რამდენად მნიშვნელოვანია და დაკვირვების შემდეგ მოხდა კვლევის ჩატარებაც. კვლევის შედეგები ხაზს უსვამს, რომ მოსწავლეების დიდი ნაწილი არ თვლის შეფასების სისტემად განმავითარებელ შეფასებას. შესაძლოა განმსაზღვრელი შეფასება უფრო თვალსაჩინო და მარტივი აღსაქმელია, თუმცა იგი მოსწავლის სუსტ და ძლიერ მხარეებს იშვიათად გვანახებს. ნაშრომზე დაყრდნობით გამოიკვეთა ერთ–ერთი შეზღუდვა, რომ შესაძლოა მოსწავლეებმა არ იცოდნენ რას წარმოადგენს უშუალოდ კომენტარით თუ

ყალიჩავა, მათა. 2016. *როგორ დავგეგმოთ და გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასება.*

https://ru.calameo.com/read/00484681215f6285509f9?fbclid=IwAR2FZHyAuU36Pfr6roct-T3h2m_kJr2rTLU9vM7RkaL9UX2xhnA3p_5OCHQ (16.03.2019)

ქულებით შეფასება, ამიტომ ინტერვენციის ეტაპზე საჭიროებას წარმოადგენს განმარტება და ახსნა.

საბოლოოდ, მოსწავლეთა ძლიერ თუ სუსტ მხარეებზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ამ შემთხვევაში მოსწავლისთვის მთავარი მისაბამი მაგალითი და მთავარი მრჩეველი მასწავლებელია და შეფასება, კომენტარი, შექება ძალიან დიდი სიზუსტით უნდა იყოს შერჩეული. ბავშვებისთვის თითოეულ სიტყვას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და მათი უპასუხოდ დატოვება ძალიან დიდი შეცდომაა. მათი მონდომების შექება, წახალისება ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მათი სუსტი მხარეების აღმოჩენა და გამოსწორება.

IV თავი: მეთოდოლოგია

4.1 პრობლემის აქტუალობა

განათლების მიღების ხელშეწყობა დღევანდელი მსოფლიოსათვის ერთ–ერთ პრიორიტეტულ მიმართულებაა.. ხარისხი, ხელმისაწვდომლობა და თანაბარი შესაძლებლობები განსხვავებული აკადემიური მოსწრების, ინტერესების მქონე მოსწავლეთათვის ძალიან რთულ და საპასუხისმგებლო მოქმედებას საჭიროებს. ამისათვის ახალი რეფორმები და პროგრესული მიდგომაა საჭირო. რეფორმები კი ბოლო პერიოდი ძალიან აქტიურად მიმდინარეობს. განათლების რეფორმებს შორის ერთ–ერთი წამყვან ნიშას განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს, რომელიც როგორც უკვე აღვნიშნე განსხვავებულ მიდგომებსა და პიროვნული ზრდის კომპონენტებს შეიცავს და უშუალოდ ყველა მოსწავლეზეა მორგებული.

დღესდღეობით, განათლების მიღების შესაძლებლობა ფუფუნების საგანს ნაკლებად წარმოადგენს, თუმცა უშუალოდ მოსწავლეების პროფესიული განვითარებისკენ

მიმართული განათლების გზები ჯერ კიდევ იძებნება. შეფასების სისტემა კი ამის უშუალო გამომჟღავნებაა, ერთ-ერთი გზა მოსწავლეთა ცოდნის წასახალისებლად თუ შესაფასებლად სწორედ განმავითარებელი შეფასებაა.

პრობლემის აქტუალურობა ნათელია, მოსწავლეების მოტივაციის ამაღლებისთვის თუ უბრალოდ თვალსაჩინოებისთვის საჭიროა გარკვეული სახის შეფასება. ათ ბალიანი სისტემა შესაძლოა გაუგებარი და არცთუ ისე საინტერესო აღმოჩნდეს მათთვის, განსაკუთრებით საბაზო საფეხურზე, როცა ინტერესთა სფერო ფართოვდება და კონკრეტულ შეფასებას (ნიშანს) თითქოს ყურადღებას აღარ აქცევენ. უშუალო მიმართვა მათთვის და კონკრეტიზება იმისა, თუ რისი გაუმჯობესება წარმოადგენს პრიორიტეტს უკეთეს შედეგს მოასწავებს. კვლევა ტარდება სწორედ ამ პრობლემის აღმოჩენისა და თვალსაჩინოებისთვის, რომ დამტკიცდეს რეალურად განმავითარებელი შეფასების როლი მოსწავლეების ჩართულობის კუთხით. საინტერესოა, რომ ამგვარი კვლევები საკმაოდ ბევრია, თუმცა ეს იქნება კონკრეტულად ერთი კლასის შედეგის აღმოჩენა. შესაბამისად, ეს კვლევა აქტუალურობას არ დაკარგავს და მეტად მოერგება მოსწავლეების ღირებულებებს.

4.2 კვლევის დიზაინი

კვლევის შინაარსიდან გამომდინარე, კვლევაში მონაწილეობენ ქართულ-ამერიკული სკოლის 16 მოსწავლე და მათი მშობლები. ამ კონკრეტულ კლასში კვლევის ჩატარება გარკვეულ მოსაზრებებს ეფუძნება. კერძოდ, ჩვენს სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა მზადებას ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის და ამ პროცესში გათვალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. ერთი მხრივ, ვფიქრობ ამ დროს მუშაობა კერძო სკოლაში საჯარო სკოლასთან შედარებით მარტივია. ვგულისხმობ, კლასში მოსწავლეთა რაოდენობას, რაც შესაძლებლობას გვაძლევს არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს საჭიროებების განხორციელების მიღმა. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მშობლებთან მუდმივი კონტაქტი. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას, კონკრეტული საჭიროებების გამოვლენასა და პრობლემათა ერთობლივი გადაჭრის გზების ძიებას ხელს უწყობს ცვენს სკოლაში მოქმედი ელექტრონული ჟურნალი.

მეთოდების შერჩევასაც გავითვალისწინებ ბეილის რამდენიმე რჩევა კვლევის მონაწილეთათვის ზიანის ასარიდებლად. კონკრეტულად: 1. ინფორმირებული თანხმობის მიღება და 2. მონაწილეთა პირადი საიდუმლოების შენახვა კრებითი და ანონიმური მონაცემების გამოყენებით*. იმის გათვალისწინებით, რომ არსებობს ისეთი ეთიკური დილემები, როგორცაა: 1. კვლევაში ადამიანების ჩართვა მათი საქმის კურსში ჩაყენების ან მათგან თანხმობის მიღების გარეშე; 2. მონაწილეობის მიღების იძულება; 3. კვლევის რეალური ბუნების შესახებ ინფორმაციის დაფარვა; 4. მათ პირად სამყაროში შეჭრა და სხვა,** კვლევის დასაწყისშივე საქმის კურსში ჩავაყენე მეთერთმეტე კლასში შემსვლელი ყველა მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი და მოსწავლე. განსაკუთრებით, როგორც ცდის პირებს, ვესაუბრე მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს და ვთხოვე კვლევაში აქტიური მონაწილეობა, იმის საფუძველზე, რომ ისინი უნდა იყვნენ ყველაზე მეტად დაინტერესებულნი იმ გაუმჯობესებით, რომლის მიღწევასაც ვაპირებ. მოსწავლეებმა თანხმობა განაცხადეს. მათ შევავსებინე ანკეტა, დამრიგებელთან ჩავწერე ინტერვიუ, ხოლო მასწავლებლებისგან შეიქმნა ფოკუს-ჯგუფი, რომელთაც თავიანთი შეხედულებები ჩამოაყალიბეს ჩემ მიერ შეთავაზებული ანკეტის საფუძველზე. რამდენიმე

მოსწავლის მშობელს (რა თქმა უნდა, წინასწარი შეთანხმების საფუძველზე) შესავსებად გავუზავნე კითხვარი. უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის თითოეული მონაწილე დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საკითხს.

კვლევის მეთოდებიდან ავირჩიე როგორც თვისობრივი (დაკვირვება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი), ასევე რაოდენობრივი (მასობრივი წერილობითი გამოკითხვა-ანკეტირება) მეთოდები. კვლევის პროცესში ორივე მეთოდის ერთობლივი გამოყენებით მეტ-ნაკლებად სანდო და ხარისხიანი ინფორმაციის მიღება გახდა შესაძლებელი.

კვლევის საწყის ეტაპზე მივმართე **ჩართული დაკვირვების** მეთოდს. აღწერითი დაკვირვების ეტაპზე, ზოგად სიტუაციაში გასარკვევად დაკვირვება ხორციელდებოდა აკადემიურ დონეებზე.

შემაჯამებელი სამუშაოს(იხ. დანართი) ანალიზის შემდეგ გამოვავლინე ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრა, ჩემი თვალსაზრისით, განმავითარებელი შეფასებების საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი.

კვლევამ მოიცვა მთელი კლასი და მათი მშობლები. ვინაიდან კლასში არც თუ ისე ბევრი მოსწავლეა, დაიგეგმა ყველას გამოკითხვა. მშობლების აზრი და დამოკიდებულება ასევე ძალიან პრიორიტეტულია ჩემთვის. ვინაიდან ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ შვილებს საგანმანათლებლო სივრცის გარეთ და უკეთესად იციან დამოკიდებულება საგნის მიმართ სკოლაში მოსვლამდე. ასე რომ, საჭიროდ მივიჩნეე მათი აზრის გაგებას და გაზიარებას ასევე ანკეტირების მეშვეობით.

ასევე დიაგნოსტიკის ეტაპზე, ორი კვირის განმავლობაში დააკვირდა კლასის დამრიგებელი მოსწავლეებს, რაც დამეხმარა უფრო ნათლად აღმომეჩინა პრობლემები და მათზე გამემახვილებინა ყურადღება.

4.3 კვლევის შეზღუდვები

კვლევა მოიცავს ქათულ-ამერიკული სკოლის ერთ კონკრეტულ კლასს, თუმცა კვლევის შეზღუდვები მაინც იქნება მხედველობაში მისაღები. წინასწარვე კვლევის პოზიტიური მხარედ განისაზღვრა ის არის, რომ განმავითარებელი შეფასების აქტიური გამოყენება და მშობლების ინტერესის სფეროს გაფართოება უზრუნველყოფდა 16-ვე მოსწავლის შეფასებას მუდმივად და ისინი თანაბრად მიიღებდნენ უკუკავშირს ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, არსებობდა შეზღუდვა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქტიურად ჩაერთვებიან მშობლები შვილის მოტივაციის ამალგების პროცესში, განმავითარებელი შეფასების მიღებისა და გაცნობის შემდეგ. კიდევ ერთი შეზღუდვად მშობლების არაინფორმირებულობა შეიძლება მიჩნეულიყო. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები ოფიციალურად იყენებენ შეფასების სისტემის ამ ასპექტს და მშობლების ნაწილი ამჩნევს ამას, მეორე ნაწილისთვის შეიძლება გაურკვეველი იყოს განმავითარებელი შეფასების სახელწოდება, არსი და მიზანი. ამიტომ სკოლაში მოქმედი ელექტრონული ჟურნალის დახმარებით მშობლებმა წერილობით მიიღეს განმავითარებელი შეფასების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია.


კვლევისას მნიშვნელოვანი იყო, რომ მე, როგორც მკვლევარს, შემეძლო შემეტყობინებინა და გამეცნო მშობლებისათვის მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებები და მათივე დახმარებით აღმოფხვრილიყო მოსწავლეთა ხარვეზები საგნის შესწავლის პროცესში.

V თავი


დიაგნოსტიკის შედეგები და ანალიზი

მე-11 კლასის მოსწავლეებთან ჩატარებულ დიაგნოსტიკის ეტაპზე გამოჩნდა შედეგები, რომლებიც დიაგრამების სახით შეგვიძლია განვიხილოთ. კითხვარი მიზნად ისახავდა, დამედგინა, თუ როგორი სიხშირით იღებენ მოსწავლეები შეფასებას, რა სახის შეფასებაა მათთვის უფრო პრიორიტეტული და რა ცოდნა აქვთ ზოგადად განმავითარებელ შეფასებაზე მათ. გამოიკითხა მოსწავლეთა სრული


რაოდენობა თვითადმინისტრირებული ანკეტირებით, რომელთაგანაც გაურკვეველი პასუხების რაოდენობა შეადგენდა 3.4%. დანარჩენმა მოსწავლეებმა კი სრულიად უპასუხეს კითხვარს. გამოიკვეთა, რომ, ძირითადად, მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეებს შეფასება უნდოდათ მიეღოთ როგორც ქულებით, ისე სიტყვიერად და წერილობითი კომენტარების სახით. ისინი უფრო აქტიურად არიან ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, მოსწავლეებს შეფასების სისტემა ნაკლებად აინტერესებდათ და ყველანაირი შეფასება ნაკლებად მისაღები იყო მათთვის. კითხვარის პასუხების საფუძველზე მივიღეთ შედეგი, რომლებიც სქემებად ასე წარმოგვიდგა:




პირველ ძირითად შეკითხვაზე, რომელიც მიზნად მათი მხრიდან გაკვეთილზე მომზადების გამომჟღავნებას ისახავდა, აღმოჩნდა, რომ 41% მიიჩნევს, რომ სრულიად მომზადებულია საგაკვეთილო პროცესის დროს და არც ერთი მათგანი არ მიიჩნევს, რომ მოუმზადებელი მოდის. (იხ.სქემა #1)




შემდეგ შეკითხვაზე, თუ რამდენად ერთვებიან გაკვეთილის მსვლელობის დროს, მხოლოდ 12% მიიჩნევს, რომ სრულიად აქტიურად ავლენენ თავიანთ ცოდნას გაკვეთილის დროს და პროცენტულად დიდი რაოდენობა გადანაწილდა ნაწილობრივ ჩართვასა და ზოგადად ჩართულობას შორის. მათი რაოდენობა 41–41% დაახლოებით.




შემდეგი კითხვები ძირითადად მათი მოტივაციის განსაზღვრის შემაფასებელი იყო და ჩანს, რომ მიუხედავად მოსწავლეების სურვილისა ისწავლონ უკეთესად (88%), დისკუსიაში ჩართვისა და გაკვეთილზე მოტივირებული მოსვლის ხარისხი არც თუ ისე მაღალია. თითქმის 12% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივია სასიხარულო მისთვის გაკვეთილზე დასწრება. ასევე 41% მიიჩნევს, რომ ნაწილობრივია მათთვის სასიხარულო დისკუსიაში მონაწილეობის მიღება. პასუხი „არ ვეთანხმები“ საერთოდ არ დაფიქსირებულა.



ანკეტის შემდეგი ნაწილი მოიცავდა კითხვებს შეფასების სტრუქტურის შესახებ. ვინაიდან ვიყენებ სხვადასხვა სახის შეფასების სტრუქტურას, მოსწავლეებისგან მოსალოდნელი შედეგი მივიღეთ და უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყველა სახის შეფასება გამოიყენება საგაკვეთილო თუ შემაჯამებელ შეფასებებში. მიუხედავად ამისა, უმრავლესობა მიიჩნევს, რომ, ძირითადად, ვიყენებ სიტყვიერ შეფასებებს. თითქმის 6% ფიქრობს, რომ არ ვიყენებ სიტყვიერ და წერილობით შეფასებებს ყოველთვის. ძირითადად, გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები სიტყვიერ შეფასებას უფრო მეტად გამოყოფენ და აღნიშნავენ, რომ ყველაზე ხშირად ამგვარი სტრუქტურით ფასდებიან (თუმცა ეს არაა განმავითარებელი შეფასება).




ყველა ეთანხმება დებულებას, რომ შეფასების მიღება პასუხისმგებლობის გრძნობას უვითარებს. უარყოფითი პასუხი მსგავს კითხვებზე საერთოდ არ ყოფილა და აქედან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ სწორედ ამის გამო აუცილებელია შეფასებითი სტრუქტურის დახვეწა და გაუმჯობესება მათთან.




კითხვაზე „სურთ თუ არა მუდმივად ფასდებოდნენ განმავითარებელი კომენტარებით“ პასუხები პროცენტულად ასე გადანაწილდა. მივიჩნით, რომ ვერ აცნობიერებენ წერილობითი კომენტარის ზუსტ მნიშვნელობას. ამ კითხვაზე, თუ რამდენად სურთ წერილობითი კომენტარის მიღება უკუკავშირის სახით, ყველაზე უფრო განსხვავებული შედეგები მივიღეთ. გაიყო მათი აზრი რამდენიმედ და როგორც ვხედავთ, მოსწავლეების მესამედი ნაწილი ეთანხმება ან ნაწილობრივ მაინც ეთანხმება განმავითარებელი შეფასების გამოყენებას ხშირად. თითქმის 12% სრულიად ემხრობა ამ სტრუქტურას და თითქმის 6% საერთოდ არაა მომხრე.

რაც შეეხება კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისგან სავარაუდო პასუხებთან ერთად მათ აზრსაც ითვალისწინებდა შემდეგი შედეგი მივიღეთ. განმავითარებელი შეფასების არსი მოსწავლეებისთვის მიღებული პასუხებიდან განაწილდა შემდეგნაირად: 4 მოსწავლე ფიქრობდა, რომ განმავითარებელი შეფასება იყო ის წერილობითი კომენტარები, რომლებსაც მასწავლებელი უწერდა მათ. დანარჩენებისთვის ქულებითა და სიტყვიერი შეფასებებით განისაზღვრებოდა.




ასევე ორი მოსწავლე მიიჩნევდა, რომ განმავითარებელი შეფასება იყო ყველა ზემოთ ჩამოთვლილი და შეფასება, რომელშიც მასწავლებელი შეცდომებსა და მათი გამოსწორების გზაზე მიუთითებდა. ბოლო შეკითხვაზე კი, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ, როცა მასწავლებელი მაღალი ქულით აფასებს, პასუხობდნენ, რომ უფრო მეტად უნდათ საკუთარი შესაძლებლობების გამომჟღავნება, მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა აქვთ და უფრო მოტივირებულნი არიან სასწავლო პროცესის დროს.


საინტერესო იყო მშობლების გამოკითხვა დიაგნოსტიკის ეტაპზე. სულ კვლევის ამ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო 12 მშობელმა, რომელთაგანაც ყველა მათგანი იყო დედა, უმაღლესი განათლებით. მათი პასუხებიდან გამომდინარე ვხედავთ, რომ:



მშობლების ჩართულობა შვილების შეფასების სისტემაში სხვადასხვანაირია. 33% სრულიადაა ჩართული შვილის შეფასების მსველობისას, ასევე თითქმის მთლიანი რაოდენობის მესამედი ნაწილობრივადაა ჩართული. ყველაფერთან ერთად კი საინტერესოა, რომ 13% მშობლებისა საერთოდ არაა აქტიურად ჩართული მოსწავლის შეფასების სტრუქტურაში.




ჩართულობის აქტიურობის მიხედვით, გამოკითხული მშობლების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მათი შვილებისთვის შეფასების სისტემა ძალიან მნიშვნელოვანია და სწორედ იგივე შედეგი მივიღე მოსწავლეების გამოკითხვის დროს. უარყოფითი პასუხი მშობლების მხრიდან არ ყოფილა ამ კითხვაზე.



სქემაში ჩანს, რომ მშობლების აზრით, ბავშვისთვის შეიძლება ითქვას მთავარი მოტივატორი შეფასებაა. თითქმის 60% სრულიად ეთანხმება დებულებას, რომ შეფასება ბავშვს უფრო მეტ სურვილს უჩენს, ისწავლოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ 7% საერთოდ უარყოფს ფაქტს და მიიჩნევს, რომ შეფასების სტრუქტურა მოსწავლეს მოტივაციას არ უმაღლებს.

საინტერესოა, რომ მშობლების პასუხებიდან გამომდინარე თითქმის რესპოდენტთა ნახევარი ფიქრობს, რომ საშინაო დავალების შესრულება უფრო მარტივია მათთვის, როდესაც უკუკავშირს ელიან ჩემგან, როგორც მასწავლებლისგან. ამ დებულებას მხოლოდ 6% არეთანხმება.



გამოკითხული რესპოდენტების 28% სრულიად ემხრობა იდეას, რომ გამოვიყენო განმსაზღვრელი შეფასების გარდა სხვა შეფასების სისტემა. 36% ნაწილობრივ ეთანხმება ათბალიანი სისტემის გარდა სხვაგვარად შეფასებას, თუმცა მშობლების 7% სხვა სისტემის გამოყენება არ სურს.

დამრიგებლის დაკვირვების შედეგი

კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, დაკვირვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიაგნოსტიკის ეტაპზე. მე-11კლასის დამრიგებელს უნდა შეეფასებინა მოსწავლეების დამოკიდებულება ქართული ენისა და ლიტერატურის საგაკვეთილო პროცესის მიმართ და ორი კვირა აქტიურად აწარმოებდა დაკვირვებას ბავშვებზე. ამ შემთხვევაში დამრიგებლის დაკვირვებას ჰქონდა სიმბოლური დატვირთვა იმ

კუთხით, რომ ის ყველაზე უკეთ იცნობს მოსწავლეებს და, შესაბამისად, ობიექტურადც შეაფასებდა მათ ორი კვირის დაკვირვების შემდეგ. მოსწავლეებსაც ნაკლებად ექნებოდათ გაუცხოების გრძნობა. ორკვირიანი დაკვირვების შემდეგ კლასის დამრიგებელი აცხადებს, რომ კლასში არ იყო აქტიურობის პრობლემა საგაკვეთილო პროცესის დროს, ვინაიდან მასწავლებელი სწორად წარმართავდა მათს ჩართულობას. მიუხედავად ამისა, აღნიშნავდა, რომ მეტი მოტივაცია არ იქნებოდა ურიგო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამრიგებლის დაკვირვებით, მე ვიყენებდი განმავითარებელ შეფასებას განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად, თუმცა ეს იყო მხოლოდ ზედაპირული სიტყვიერი კომენტარი, რომლებიც შესაძლოა მხოლოდ კლასში ყოფილიყო აღქმული და მერე აღარ მიბრუნებოდნენ. ეს დაადასტურა შემდეგმა გაკვეთილებმა, როცა ერთი და იმავე ტიპის შცდომებს უშვებდნენ კონკრეტული ბავშვები მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი განმავითარებელი შეფასება მოსმენილი ჰქონდათ ამ შეცდომების დაშვებისა და გამოსწორების გზების შესახებ.

ამგვარმა გაკვირვებამ განსაზღვრა კვლევის შემდეგ ეტაპზე შესასრულებელი სამუშაოები. აქტიური წერილობითი კომენტარების და ინტერვენციის ეტაპის შემდეგ უკეთ დავინახავდით განმავითარებელი შეფასების როლს მოსწავლეების, როგორც საკვლევი ობიექტების მოტივაციის ამაღლების პროცესსა თუ ჩართულობის საკითხში.

VI თავი

ინტერვენციის ეტაპის დაგეგმვა-განხორციელება

განმავითარებელი შეფასება უშუალოდ მოსწავლეს აწვდის ინფორმაციას, რა სუსტი და ძლიერი მხარე აქვს და მის გაუმჯობესებაზე იწყებს მუშაობას. ეხმარება მათ სხვადასხვა აქტივობებით თვითონ აღმოაჩინონ პრობლემა და მოტივაციის დაკარგვის გარეშე უფრო მეტად ჩაერთონ საგაკვეთილო პროცესებში. აქედან გამომდინარე შეფასების ამ სტრუქტურის მიზნებია:

- ✓ სწავლის პროცესში არსებული საჭიროებების აღმოჩენა
- ✓ პროგრესზე ორიენტირება
- ✓ თვითგანვითარების ხელშეწყობა, თვითშეფასება
- ✓ აღმოჩენა, მუშაობა, გამოსწორება.

სასწავლო გეგმის მიხედვით, განმავითარებელი შეფასების ერთ–ერთი საშუალებაა წერილობითი უკუკავშირი. კონკრეტული მოსწავლის დავალების შესწორების ან საკლასო მუშაობაში ჩართვის შემდეგ მოსწავლეს ვუწერ უკუკავშირს რვეულში, ფურცელზე. უკუკავშირი იმაში მდგომარეობს, რომ შეფასება ხდება ე.წ სენდვიჩის პრინციპით. თავდაპირველად, ვეუბნები იმას, რაც რეალურად კარგია მოსწავლის ნამუშევარში შემდეგ რეკომენდაცია, ანუ რაც უნდა გამოასწოროს და რაზეც უფრო მეტი მუშაობა სჭირდება. შემდეგ წერილობით განმავითარებელ შეფასებას ვასრულებ კვლავ პოზიტიური კუთხით. ამგვარი შეფასება, როდესაც უშუალოდ კონკრეტულ მოსწავლეზეა მორგებული, ეხმარება მათ მეტად მიაქციონ ყურადღებაა თავიანთ შეცდომებს და ამასთანავე წახალისდნენ.

სწორედ შეფასების ეს მეთოდი გამოვიყენე, როგორც მკვლევარმა მოსწალებთან(განმავითარებელი შეფასების ტექსტის ნიმუშები მოცემულია დანართში. ამასთანავე მშობლებს მოეთხოვებოდათ, გასცნობოდნენ შეფასებას და დაჰკვირვებოდნენ ამ შეფასებათა შემდეგ შვილის აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების დონეს.

ინტერვენციის ეტაპზე, დავგეგმე შემდეგი აქტივობები:

- ყოველი შემაჯამებელი სამუშაოს შემდეგ თითოეულ მოსწავლეს, რომელმაც შეასრულა დავალება, ვუწერდი დეტალურ კომენტარს შედეგიდან გამომდინარე და მშობლებისგან ვითხოვ დასტურს გაცნობასთან დაკავშირებით.
- თითოეულ მოსწავლეს საშინაო დავალების შესრულების შემდეგ ვაძლევდი უკუკავშირს, რა აქვს გამოსასწორებელი, რაშია ძლიერი.
- სხვადასხვა საკლასო აქტივობები მოსწავლეების ჩართულობის გაზრდისთვის.

მაგალითად, პირველი ინტერვენცია იყო შესრულებული თხზულების განმავითარებელი შეფასებით უკუკავშირი ყველა მოსწავლისთვის. ეს ნიშნავს, რომ თხზულების ბოლოს, რომელიც მოსწავლეებმა დაწერეს, თითოეულ მოსწავლეს დეტალურად დავუწერე განმავითარებელი შეფასება, რომლებშიც აღწერილი იყო დაშვებული შეცდომების ყველა ტიპი, ამ შეცდომათა დაშვების საფუძველი დაშეცდომის გამოსწორების რეკომენდაცია . მივიჩნიე, რომ ამ სახის ინტერვენცია, დაეხმარებოდა მოსწავლეებს უკეთ მომზადებულიყვნენ შემდეგი შემაჯამებელი სამუშაოსათვის . საინტერესოა, რომ აღნიშნული ინტერვენცია, მოსწავლეებს უღრმავებს ცოდნას და ამათანავე ისინი ფასდებიან როგორც განმავითარებელი, ასევე განსაზღვრელი შეფასებით და შესაბამისად უკეთესად აანალიზებენ, რატომ მიიღეს კონკრეტული ქულა და რა სახის გაუმჯობესება შეუძლიათ. (იხ. დანართი)

მოსწავლეები საშინაო დავალებების ბოლოს იღებდნენ ჩემგან უკუკავშირს წერილობითი კომენტარის სახით. შესაბამისად უჩნდებოდათ მეტი მოტივაცია, მიეღოთ უფრო მეტი განმავითარებელი კომენტარი და უკეთესად ჩართულიყვნენ საგაკვეთილო პროცესში. ზოგადად, განმავითარებელი შეფასების ობიექტურად გამოყენება საკმაოდ რთულია, ვინაიდან საჭიროა სამართლიანად გაუსვა ხაზი მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებს, სწორად შეაფასო და მოუწოდო გაუმჯობესებისკენ ისე, რომ მოტივაცია არ დაკარგოს. ამიტომ ხშირად ვიყენებდი შეფასების ამ სისტემას მოსწავლეების შედეგების გასაუმჯობესებლად და საკმაოდ ფრთხილად და გააზრებულად ვცდილობდი დამეწერა კომენტარი. (იხ. დანართი)

განმავითარებელი შეფასება, პირველ რიგში, შინაგანი მოტივაციის ამაღლებასა და გაუმჯობესებას უწყობს ხელს. ისინი მეტი ინტერესით შეასრულებენ დავალებებს. შესრულებული სამუშაო ამზადებს სამართლიან საფუძველს, მოსწავლემ დაინახოს თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. აძლევს საშუალებას ხარვეზების უმტკივნეულო დაძლევაში და მიქმნის მე, როგორც მასწავლებელს, პოზიტიურ გარემოს სწავლების პროცესში. ასევე მეხმარება გავაუმჯობესო დამოკიდებულება ამ ტიპის გამოცდილებით, რომელსაც განმავითარებელი შეფასება ჰქვია.

გარდა ამისა, დავგეგმე სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მოსწავლეების ჩართულობას შეუწყობდა ხელს და გააღრმავებდა მათ ცოდნას შესაბამის საგანში. მეორე ინტერვენცია იყო ჯგუფური პროექტი, რომელიც განხორციელდა წიგნიერების დღესთან დაკავშირებით. ჯგუფებში განაწილებული მეთერთმეტეკლასელებმა დაამზავეს სხვადასხვა საკითხები:

1. ქართული ენის განვითარების ეტაპები და წერილობითი ძეგლები;
2. ქართული მწერლობის განვითარების ეტაპები და გამორჩეულ პწერალთა შემოქმედების ზოგადი ტენდენციები;
3. ქართული დიალექტები და სალიტერატურო ენა;
4. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მნიშვნელობის დამადასტურებელი ფაქტები და მოვლენები.

შექმნეს პლაკატები დამუშავებული ინფორმაციის საფუძველზე, გააფორმეს მხატვრულად. შემდეგ ეტაპზე მოამზადეს კითხვარი დამუშავებული მასალის მიხედვით და 24 აპრილს მოაწყვეს მინიკონკურსი საბაზო საფეხულის მოსწავლეთათვის. მანამდე კონკურსის შედახებ მოამზადეს ბროშურები და გააცნეს მონაწილეებს (პლაკატებზე განთავსებული ინფორმაცია უნდა დაემუშავებინათ, რადგან კითხვარი ამის საფუძველზე იყო შედგენილი). განსაზღვრეს კონკურსის ჩატარების ვადა, დრო, ფორმატი და განახორციელეს დაგეგმილი აქტივობა.

შესაბამისად, აღნიშნული პროექტი შევაფასე განმავითარებელი შეფასებით. ეტაპობრივად ვაფასებდი ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების ძლიერ და დასახვეწი მხარეებს. შეფასდა, როგორც ურთიერთთანამშრომლობის, ასევე, საბაზო საფეხურის მოსწავლეებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის სრულყოფილი გაცვლის უნარები. პროექტის განხორციელების ყოველ მომდევნო ეტაპზე თვალყურს ვადევნებდი იხვეწებოდა თუ არა მათ მუშაობა (ანუ, დაწვრილებით ეცნობოდნენ თუ არა განმავითარებელ შეფასებებს) და ვრწმუნდებოდი, როგორ ამაღლდა მათი მოტივაციისა და ჩართულობის დონე, პასუხისმგებლობის განცდა. კვლევის ამ ეტაპზე უკვე დავრწმუნდი განმავითარებელი შეფასების, როგორც საჭირო სტრატეგიის აუცილებლობაში(იხ. დანართი).

ცალკე გამოვყავი წერით დავალებებში ენობრივ ნორმათა დაცვის მიმართულებით მუშაობა და ამ თვალსაზრისით ტექსტების რედაქტირების შემდეგ მიმდინარეობდა ანალიზი. თითოეულ მოსწავლეს შეეძლო ან ანალიზის დროს მის მიერ დაშვებული შეცდომების სახეს გასცნობოდა და რეკომენდაციაც მიეღო.უნდა აღინიშნოს, ამ ტიპის ინტერვენციის განხორციელების შემდეგ სჭიროდ მივიჩნიე, შემემოწმებინა ერთგვარი ცოდნის ტრანსფერის დონე-იყენებდნენ თუ არა სხვა საგნების წერილობით დავალებებში ენობრივ ნორმებს, რომელთა დახვეწა სწორედ განმავითარებელი შეფასებების შემდეგ მოხდა. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო გეოგრაფიაში გლობალიზაციის საკითხების შესახებ შექმნილი რეფერატების ანალიზი, რომელსაც ერთ-ერთ ინტერვენციად.

ასევე აღსანიშნავია „ქვიზების „ დავალებები“, რომლებშიც უნდა ამოეცნოთ ტროპის სახეები, პერსონაჟთა და ეპოქის მახასიათებლები, მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, პუნქტუაციური შეცდომები და სტილისტიკური ხარვეზები . „ქვიზების“ ანალიზის შემდეგ თითოეულ მოსწავლეს განმავითარებელი შეფასების საფუძველზე შეეძლო განესაზღვრა, რომელი მიმართულებით ჰქონდა ხარვეზები და გაეთვალისწინებინა ამ შეფასებისაა მიცემული რეკომენდაციები, რის დახმარებითაც ხარვეზები გამოსწორდებოდა.

ინტერვენციის შედეგებიდან გამომდინარე შემიძლია ვთქვა, რომ ნამდვილად არის პროგრესი განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემდეგ მოსწავლეების

ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების კუთხით. ამ შედეგებით დავინახე, რომ სიახლე ნამდვილად პოზიტიურ გავლენას ახდენს მოსწავლეებზე და განსაკუთრებით შეფასება, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხია მოსწავლეებისთვის.

VII თავი

ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები


კვლევის განმავლობაში და განსაკუთრებით ინტერვენციის საფეხურზე საინტერესო შედეგები გამოიკვეთა. საბოლოოდ კვლევას მეტად პოზიტიური გავლენა ჰქონდა მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების კუთხით. მიზანს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ განმავითარებელი შეფასების გამოყენების შემდგომ, მეთერთმეტე კლასის მოსწავლეები უფრო მეტად მოტივირებულები არიან ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე. სხვადასხვა პროექტებმა და ჯგუფურმა სამუშაოებმა, რომლებიც ინტერვენციის ეტაპზე განხორციელდა, განუვითარა მოსწავლეებს სხვადასხვა პიროვნული უნარ-ჩვევებიც. მოსწავლეები გახდნენ უფრო კომუნიკაბელურები, თავდაჯერებულები, განუვითარდათ პრეზენტაციის უნარი, აუდიტორიასთან კონტაქტი აღარ იყო დიდი პრობლემა მათთვის და რაც მთავარია, თითოეული მათგანი შესაძლებლობიდან გამომდინარე აქტიურად ერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში.

საინტერესოა თვითონ მოსწავლეთ და მშობელთა დამოკიდებულება ამ საკითხისადმი, რაც ნათლადაა ასახული მოცემულ სქემებში.

ჩემი შვილი გახდა უფრო აქტიური

საგაკვეთილო პროცესის დროს


- სრულიად ვეთანხმები
- ვეთანხმები
- ნაწილობრივ ვეთანხმები
- არ ვეთანხმები
- საერთოდ არ ვეთანხმები



როგორც დიაგრამიდან ჩანს, მშობლების უმრავლესობა ეთანხმება განმავითარებელი შეფასების პრაქტიკას. უარყოფითი პასუხი ამ კონკრეტულ შეკითხვაზე და ,ზოგადად, საბოლოო კითხვარებში თითქმის არ ყოფილა. თითოეული მშობელი თუ მოსწავლე აღნიშნავდა, რომ განმავითარებელ შეფასებას ჰქონდა დადებითი ეფექტი მათი განვითარებისთვის.

საინტერესოა მშობლების, როგორც რესპოდენტების პასუხების თვალსაჩინოებაც ერთ-ერთ შეკითხვაზე.


ვისურვებდი მასწავლებელმა გააგრძელოს განმავითარებელი კომენტარების წერა მოსწავლეებისთვის



მათი აბსოლუტური უმრავლესობა (76%) სრულიად ეთანხმება მასწავლებლის მიერ განმავითარებელი კომენტარების წერას, ვინაიდან ფიქრობენ, რომ აღნიშნული სისტემა ეხმარება მოსწავლეებს პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ შემთხვევაშიც უარყოფითი პასუხი არ ყოფილა.

აქვე უნდა განვიხილოთ მოსწავლეების საბოლოო შედეგი შეკითხვაზე, თუ რამდენად გაუმჯობესდა მეცადინეობის სიხშირე განმავითარებელი კომენტარების წერის დროს.

წერილობითი შეფასების შემდეგ, უფრო მეტს ვმეცადინეობ
სახლში



შედეგებიდან ჩანს, რომ შეფასებამ გაზარდა ჩართულობა არა მხოლოდ საკლასო აქტივობებში, არამედ საშინაო დავალებების მომზადების კუთხით. მოსწავლეების 44% ამბობს, რომ სახლში უფრო მეტად მეცადინეობს, ვინაიდან საინტერესო შეფასება უნდა მიიღოს და ჯგუფურ აქტივობებში იაქტიუროს.

აქვე უნდა ითქვას, რომ ჰიპოთეზა, რომელიც კვლევის დასაწყისში შევიმუშავე, დადასტურდა და მოსწავლეებმა განივითარეს სხვადასხვა პიროვნული უნარ-ჩვევები, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე და, რა თქმა უნდა, მოტივაციაც გაიზარდა - სწავლის პროპორციულად შევაფასო მაღალი უნარების მქონე შეფასებით და დავგვემოთ ჩვენთვის საინტერესო აქტივობები, რომლებშიც გამოამყდავენებენ თავიანთ შესაძლებლობებს ბოლომდე.

რაც შეეხება, დამრიგებელს, დაკვირვების შემდეგ ის აღნიშნავდა, რომ „ყველა მოსწავლე გაკვეთილის მსვლელობისას და განსაკუთრებით ბოლოს მასწავლებელს სთხოვდა მათთვისაც დაეწერა განმავითარებელი შეფასება ქულებთან ერთად და ამის გამო ერთმანეთში ჯანსაღი კონკურენცია განვითარდა...“

საბოლოოდ კი, ჩემი რეკომენდაცია იქნება განმავითარებელი შეფასების უფრო მეტად აქტიური და სამართლიანად გამოყენება. მისი სწორად მიმართვა

მოსწავლეებისკენ, შესაძლებლობებზე კონცენტრირება და პოზიტიურად თქმა იმისა, თუ რა უნდა გააუმჯობესოს, ეფექტიანი იქნება მომავალი თაობის განვითარებისთვის

.

დასკვნა

აღნიშნული კვლევა სასარგებლო მცდელობაა, რადგან საქმე ეხება მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც სწავლობს სწავლების პროცესში გამოყენებული სტრატეგიების ეფექტურობასა და მათ გავლენას მოსწავლეების სწავლის შედეგებზე. ის იძლევა სასარგებლო ინფორმაციას სწავლების მნიშვნელოვან სტრატეგიაზე- განმავითარებელ შეფასებაზე.

აღნიშნული კვლევა შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვა მასწავლებლების მიერ ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარების მიზნითაც, რათა მათ სასწავლო აქტივობების მომზადებისას განმავითარებელი შეფასების შედეგები გაითვალისწინონ და მომავალში უკვე არსებული პრაქტიკის გამოყენება გახდეს შესაძლებელი. აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას გვაძლევს შედეგი, რომელიც მივიღეთ მოცემული კვლევის პროცესში სწორი დასკვნისა და გარკვეული ინტერვენციების განხორციელების შედეგად.

გამოყენებული ლიტერატურა

- ✓ მათა ინასარიძე, სოფიკო ლობჯანიძე, მანანა რატიანი, ირინა სამსონია -
- ✓ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ -2016 წ.
- ✓ ზურაბიშვილი თინათინ -„თვისობრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში“,
 - 2006 წ.
- ✓ წულაძე ლია -„რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ – 2008 წ.
- ✓ გორგოძე, სოფო. 2016. ეფექტური განმავითარებელი შეფასება. თბილისი, 2019წ.
- ✓ ლობჯანიძე, სოფიკო., *სწავლისა და და სწავლების თანამედროვე მიდგომები*. თბილისი. 2018წ.
- ✓ ყალიჩავა, მათა. 2016. *როგორ დავგეგმოთ და გავაუმჯობესოთ განმავითარებელი შეფასება, 2018.*
- ✓ პრაქტიკის კვლევის რიდერი. 2018. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- ✓ „სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსების კრებული“-განმავითარებელი შეფასება. 2015წ. (G-PRIED)

დანართები

დანართი №1

დიაგნოსტიკის ეტაპის შედეგი/მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი ყველა კითხვაზე:

		სრულიად ვეთანხმები	ვეთანხმები	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმები	სრულიად არ ვეთანხმები
3	ყოველთვის მომზადებული ვარ გაკვეთილისთვის	41.18%	35.29%	23.53%	–	–
4	ყოველთვის ჩართული ვარ საგაკვეთილო პროცესში	11.76%	41.18%	41.18%	5.9%	–
5	ყოველთვის ხალისით ვერთვები დისკუსიაში	23.52%	35.29%	41.18%	–	–

6	საინტერესოა ქართულის გაკვეთილები	47.06%	35.29%	11.76%	–	5.9%
7	მაქვს სურვილი, რომ ვისწავლო უკეთესად	88.24%	11.76%	–	–	–
8	მასწავლებელი ყოველთვის მაფასებს კულისით	35.29%	47.0%	11.76%	5.9%	–
9	მასწავლებელი ყოველთვის მაფასებს წერილობითი კომენტარით	29.41%	41.17%	11.76%	5.9%	–
10	მასწავლებელი ყოველთვის მაფასებს სიტყვიერად	58.22%	23.52%	11.76%	–	–
11	მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა გაკვეთილების მომზადების დროს, როცა ვიცი, რომ გაკვეთილზე	58.87%	35.29%	–	–	–

	შეფასება უნდა მივიღო					
12	ვისურვებდი მასწავლებელმა ყველაზე ხშირად შემაფასოს სიტყვიერად	29.41%	41.18%	17.65%	5.9%	–
13	ვისურვებდი, მასწავლებელმა ხშირად შემაფასოს ქულით	47.05%	41.18%	–	5.9%	–
14	ვისურვებდი მასწავლებელმა ყველაზე ხშირად შემაფასოს წერილობითი კომენტარებით	11.76%	35.29%	35.29%	5.9%	5.9%


დანართი №2

მშობლების პასუხების პროცენტული გადანაწილება :

	სრულიად ვეთანხმებ ი	ვეთანხმებ ბ ი	ნაწილობრივ ვეთანხმები	არ ვეთანხმებ ი	სრულიად არ ვეთანხმებ ი
ვიცი, როგორ ხდება ჩემი შვილის შეფასება ქართულში	73.33%	13.33%	6.66%	6.67%	–
ჩემი შვილისთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორი სისტემით აფასებს მასწავლებელი	66.67%	33.33%	–	–	–
აქტიურად ვარ ჩართული	33.33%	20.00%	33.33%	–	13.34%

შეფასების სტრუქტურაში					
ჩემი შვილის შეფასებას მასწავლებლის მხრიდან ვიღებ მხოლოდ ქულების მეშვეობით	26.66%	13.33%	33.33%	13.33%	13.33%
ვფიქრობ ჩემი შვილის შეფასებისას მასწავლებელმა არ უნდა გამოიყენოს მხოლოდ ათ ბალიანი სისტემა	13.33%	33.33%	33.33%	13.34%	–
ბავშვი მოტივირებულია, როცა იცის, რომ მასწავლებლისგან შეფასება უნდა მიიღოს	53.33%	26.66%	–	6.67%	6.67%
ბავშვს აქვს განვითარებული პასუხისმგებლობა ს გრძნობა ქართულის გაკვეთილის მიმართ	66.67%	13.33%	13.33%	–	–
ბავშვი	46.66%	33.33%	6.67%	–	6.67%

სიამოვნებით აკეთებს საშინაო დავალებას, ვინაიდან იცის, რომ შეფასება უნდა მიიღოს					
ბავშვი აქტიურად ერთვება საგაკვეთილო პროცესში	33.33%	46.66%	6.67%	6.67%	–
ბავშვი სახლში მოსვლისას ყოველთვის მიყვება სკოლაში მიღებული შეფასების შესახებ	60.00%	26.66%	6.67%	–	–
ვისურვებდი მასწავლებელმა გამოიყენოს სხვა ტიპის შეფასება	26.66%	26.66%	33.33%	6.67%	–



Հարցեր:

1. Կրկին շնորհակցանակ կազմակերպող, այժմ «Չնկարժեք» բնակարանային կոոպերատիվի կողմից ներկայացված պահանջարկը:

Կրկին ներկայացված պահանջարկը, որի նկատմամբ կատարվել է հարցազրույց:

2. Չնկարժեք կոոպերատիվի կողմից ներկայացված պահանջարկը, որի նկատմամբ կատարվել է հարցազրույց:

3. Կրկին ներկայացված պահանջարկը, որի նկատմամբ կատարվել է հարցազրույց:

Կրկին ներկայացված պահանջարկը, որի նկատմամբ կատարվել է հարցազրույց:


ენა ღვეთა ენისა რიხ ბრძე

სახეები
დაწერლობის სამი ცვალებული წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი და ამჟამად ამანტივი დაწერლობა მოქალაქის ამანაწარმებისთვის გამოყენებული წარმონაქმნიდან გადასვლით დაიწყო.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.




წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.



წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.



წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

ლერქეშ - სამოსი
ფაფე - ქველი
ბაშტე - ქვაბოლი
დაწე - თევზდარი
ფოსარ - ჩოხა
კეშ - ტყაბუჭი
კაბ - ვაზა, ახალღობი
კაბ ი ფოსარ - ჩოხაბაბალუბი
ხაზარ - მარა
ლახარან - სამსარე
ფატან - პერანგი
პუტე - სახელო
პაშე - საჯილი
კენე / ფოლან - ღილი
შალბარ - შარვალი
ლარტე - ქამარი
ლექორი - სამუხუზე
ფეორ - მაჭუჭი
ჩაფელ - ფენსაკმელი
გამპე - ტყვის ფენსაკმელი
განბალ - ბანდულუბი
ბერ - ჭინჭა

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.



წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

მი შაფე - შე შაფე
სო შაფე - შენ შაფე
ეფას ხაფე - იმას შაფე
მი შაფე - შე შაფე
სო შაფე - შენ შაფე
ეფას ხაფე - იმას შაფე

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

წვედურმა ქართული დაწერლობის უძველესი წარმონაქმნი არი: ხევური და შვედური.

VIII თავი: კვლევის ვადები

აქტივობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X				
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება	X				
კითხვარის შედგენა, დამუშავება, დაკვირვება		X			
გამოკითხვა		X			
მიღებული შედეგების ანალიზი		X			
ინტერვენციის განხორციელება			X		
ინტერვენციების ანალიზი			X	X	
პრეზენტაცია		X			X

კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

ავტორი: ეკატერინე მაჭარაშვილი

თემა: „განმავითარებელი შეფასება-მნიშვნელოვანი სტრატეგია საშუალო საფეხურის მოსწავლეების ჩართულობისა და მოტივაციის ამაღლების საკითხში“

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განხორციელდა საბაზო საფეხურის მეთერთმეტე კლასში, შესაბამისად კვლევის მიმდინარეობისას და დასასრულს ეტაპობრივად და საბოლოოდ მიღებული შედეგები საინტერესო იქნებოდა ამ საფეხურზე შემსვლელ პედაგოგთათვის, თუმცა საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ეს შედეგები გავუზიარე ყველა მსურველ კოლეგას (შეხვედრა შედგა ორჯერ: ინტერვენციების განხორციელებამდე და ინტერვენციების განხორციელების, საბოლოო დასკვნების ჩამოყალიბების შემდეგ).

კოლეგებში კვლევამ იმთავითვე აღძრა ინტერესი. კლასის დამრიგებელი და გეოგრაფიის პედაგოგი უშუალოდ მონაწილეობდნენ ინტერვენციების განხორციელების ეტაპზე აღნიშნულ კვლევაში. სხვა პედაგოგებთანაც ამ კვლევაში განსახილველი საკითხების შესახებ ხშირად მქონდა ზეპირი კომუნიკაცია.

პირველი შეხვედრისას პრეზენტაციის გზით გავაცანი კოლეგებს განსახორციელებელი ინტერვენციების სახეები და თითოეული ინტერვენციის სავარაუდო შედეგი. მათგან დადებითად იქნა შეფასებული განმავითარებელი შეფასების როლის მნიშვნელობის დასადგენად ჩემ მიერ მოფიქრებული ინტერვენციები (შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი კონკრეტულ მოსწავლეებთან განმავითარებელი კომენტარის სახით, დაგეგმილ პროექტის განხორციელების რამდენიმე ეტაპზე განმავითარებელი კომენტარებით მათი საქმიანობის შეფასება) უკუკავშირის შედეგად კვლევაში ჩავრთე გეოგრაფიაში განხორციელებული პროექტის ფარგლებში შექმნილი რეფერატების ანალიზი განმავითარებელი კომენტარების საფუძველზე. ამ ინტერვენციის ჩართვა განაპირობა ჩემი კოლეგის რჩევამ სხვა საგნებიც ჩამერთო კვლევაში.

საინტერესო იყო ინტერვენციების განხორციელებისა და შედეგების გაანალიზების შემდეგ შეხვედრა. კოლეგებთან დაწვრილებით მიმოვიხილე თითოეული ინტერვენციის შედეგი. აღვნიშნე, რომ ყველაზე ეფექტიანი, ჩემი აზრით,

პროექტის განხორციელება იყო საკვლევის საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგან მივიჩნევ, რომ ამ ეტაპზე ერთობლივი (ჯგუფისათვის) მიცემულ განმავითარებელი შეფასებები ყველაზე მეტად ავლენს ამ შეფასებების მნიშვნელობას ურთიერთთანამშრომლობისა და მოტივაციის ამაღლების თვალსაზრისით.

კოლეგების უკუკავშირისას გამოვლინდა, რომ შესაძლებელი იყო და ეფექტიანი იქნებოდა განმავითარებელი შეფასების საჭიროების დასადგენად იშეთი ინტერვენციის განხორციელება, რომლის ფარგლებშიც შესასრულებელი იქნებოდა ჯგუფური სამუშაოები. ჯგუფში კი გავანაწილებდი ერთნაირი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს. ამგვარი ინტერვენცია, კოლეგების თქმით, ნათლად გამოავლენდა განმავითარებელი შეფასების როლს, როგორც დაბალი აკადემიური მოსწრების, ასევე მაღალი აკადემიური მოსწავლეების მოტივაციის ამაღლების საკითხში.

უკუკავშირმა ცალსახად მაჩვენა, რომ პედაგოგიური კვლევისას კოლეგებთან ინფორმაციის გაცვლა აუცილებლად დაეხმარება მკვლევარ მასწავლებელს ინტერვენციების შერჩევასა და საკვლევი საკითხის ანალიზისას მათ მიზანმიმართულად განხორციელებაში.

კოლეგებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასება, როგორც ერთგვარი სტრატეგია საშუალო საფეხურზე მოტივაციისა და ჩართულობის ამაღლების საკითხში, მნიშვნელოვანია. დავრწმუნდი, რომ ამ საკითხზე მუშაობა მომავალშიც უნდა გავაგრძელო სხვადასხვა მიმართულებით კონკრეტული კლასის საჭიროებებიდან გამომდინარე.